ბონდო მაცაბერიძე

მზის ზღაპარი

ბაკმი
2006

რედაქტორი: რუსუდან მოსიძე

© გამომცემლობა - ბაკმი

© ბონდო მაცაბერიძე - მზის ზღაპარი (ზღაპრები)

ISBN 99940 – 27 – 14 - X

© წიგნის გამოცემის ყველა უფლება ეკუთვნის გამომცემლობას.
© Copyright. All rigts reserved.

საქართველო, თბილისი - 2006 წელი

სარჩევი

მზის ზღაპარი;

ტყის ზღაპარი;

ჩანჩქერის ზღაპარი;

შუაღამის ზღაპარი;

ყვავილის ზღაპარი;

ქარის ზღაპარი;

მიწის ზღაპარი;

კაკალო.

მზის ზღაპარი

ამ ზღაპარს, ზღაპრის ჩვეული ტრადიციულობით, იყო და არა იყო რა, იყო ერთი მზე-თქო, ვერ დავიწყებ, რადგან ქვეყნად მზე რომ ერთია, ეს ყველამ კარგად ვიცით. ამიტომ, მოდით ასე დავიწყოთ:

გაზაფხულის ერთ საღამოს, როცა მზემ ქვეყნიერების ჩამოვლა დაასრულა და, დაღლილ-მიყურსავათებული მოსდგა რა ცის აივანს, ჭალა-მინდვრებიდან სხივებიც ამოიხმო.

დაძახილზე, სხივები სწრაფად აიკრიფნენ თავ-თავიანთი ადგილებიდან და ცისკენ აღემართნენ.

პირველი დედასთან, როგორც ყოველთვის, კლდისა გაჩნდა.

შემდგომ სხვანი. აი, ამ თანამიმდევრობით:

— მე ვარ ზღვისა,

— მე კი, ტყისა,

— მე მთისა ვარ,

— მე ქარისა,

— მე ვაზისა,

— მე კი, გზისა,

— ჩვენაც, წვიმა-ტალახისა (ესენი, მუდამ ერთად ბრუნდებოდნენ).

— მე ჩანჩქრისა,

— მე მიწისა, — სახნავ-სათიბ-საფარცხისა (ოჰო, როგორ ყვარებია ამას თავის ქება?!).

მერე მოდგნენ:

ყვავილისა,

ღრუბლისა,

და

ბალახისა,

ბოლოს,

დღისას - შუაღამისა,

ზღაპარისას – არაკისა.

წესად ჰქონდათ;

საღამოობით, ყველა დედის ირგვლივ მიმოსხდებოდა და რიგ-რიგობით ყვებოდნენ, დღეს, ვინ სად იყო და სად რა ნახეს.

იბერებოდა და იფუყებოდა მათი ტყუილ-მართლის გუდები. რაც ამხნობას მათგან კვეხნა და ფახიფუხი მომისმენია, ახლა მე რომ აქ მოვყვე, სიტყვაგაუმცდარს ძნელად თუ დაეჯერება და მეზღაპრე კაცს, ხომ არა და არა. ამიტომ, რაც იყო იყო. ჩვენც დღევანდლისა მოვისმინოთ:

ტყის ზღაპარი

დილით, როცა ცისპირს შეცისკრება წაჰკრავს, როცა მთვარე კლდის თხემს ჩაიდაღმართებს, და რომ იტყვიან; ერთიხანობა მდინარის წყალიც წასთვლემსო, სწორედ მაშინ შემოჰკრავდა კოდალა კოკნარეკია ხეს ნისკარტს.

ასე მოხდა ამჯერზედაც:

მის შეძახილს, — ჰეეი, ჰეეიიი, გაიღვიძეთ, გამოთ კარშიო! — პირველი, დათვი ბებლო შეესიტყვა:

— ეეხ, განა მაცლის ძილსა?! — აბუზღუნდა დათვი ბებლო და სოროს ღია კარში ჩადგა.

— გაგიქრა ეგ თავი, ნეტა რა განგაშსა სტეხ ამ ადრიანადა? — თქვა თხუნელამ და თვალების ფშვნეტით ხესთან მიგოგდა.

თანდითხნობით ტყეთა ბინადარნიც ხესთან გაჩნდნენ: მაჩვი, ზღარბი, კუ, ციყვი.

ფრინველთ არ ჩამოვთვლი. ისინი კოდალა კოკნარეკიას პირველსავე კაკუნზე ხის რტოებზე მიმოსხდებოდნენ.

აქვე ისიც ვთქვათ; რა წყრომა და რა საყვედური არ თქმულა მათი პირიდან, — რად კაკუნობ, რათ გვაღვიძებო?!

ჯერ იყო და, ხის მჭრელი მოდის, ბუდე-ბარტყებს გაუფრთხილდითოო, გაიძახოდა კოკნარეკია. მათ კი, ვინაც ხის მჭრელის მოსვლისა არ ირწმუნა,

— ცა, ჭექა-ქუხილს ჰპირობს, გაფრთხილდითო, - არწმუნებდა. მერე და მერე ერთმაც და მეორემაც ტყის მჭრელებსაც მოჰკრეს თვალი იქა-აქა, და თავთავიანთი ბუდეებიდან შორს გასულს, დაზუნზვლულ-დაავლებულთ რომ მოუხდათ შინ დაბრუნება, მაშინ კი ირწმუნეს კოკნარეკიასი...

— ეგ ამბავი, პატარებს მოუთხრე, ჩვენ ის გვითხარი, ახლა რათა სცემდა კოკნარეკია ნისკარტსო? — ჰკითხეს ტყისას სხივებმა.

— რათაო,—მანაც და,—ბაჭია-ბაჭნაჭურები წუხელი შინ არ დაბრუნებულანო.

— რას ამბობო?! — შეცბა მზე, — უთუოდ მელა გაიტყუებდა ტყიდანო.

— არაო, — ტყისამ, — მთელი დღე ტყიდან თვალი არ გამიდგამსო.

— აბა, სად არიანო? — დამწუხრებულმა მზემ კლდისას უთხრა:

— აბა, შვილო კლდისაო, გადახედე

ბარსაო, იმ ბაჭია-ბაჭნაჭურებს,

ხომ ვერ ჰკიდებ თვალსაო?!

კლდისა წამოდგა, მთელი სამყარო მიმოათვალიერა და დედას მიუგო:

— არა, არსად სჩანანო.

მაშინ, მზე მთისას მიუბრუნდა:

— თუ მონადირის აუფრთხნენ თოფსა,

და ვერ გადურჩნენ ყინვას და თოვლსა?

— არაო, მთისამ, — ბაჭნაჭურები მჭაში არ შემინიშნავსო.

ახლა მზემ გზისას ჰკითხა:

— ხომ არ დაადგნენ გზასა მავალსა,

ესრეთ წვიმასა, ესრეთ ტალახსა?

— არა, არა, არაო! — ერთხმად თქვეს გზისამ, წვიმისამ და ტალახისამ, — ბაჭნაჭურებს გზად არ გაუვლიათო.

მაშინ, ბაჭნაჭურების გაუჩინარობით დამწუხრებულმა მზემ გადაწყვიტა, ჩამოსულიყო დედამიწაზე და თავად მოეძებნა ბაჭიები. ის იყო კიდეც წამოდგა, რომ ბალახისამ ბუერას ფოთოლქვეშ მიყურსავათებულ ბაჭია-ბაჭნაჭურებს ცხვირზე მოუღიტინა. ბაჭნაჭურები შეშინებულები წამოხტნენ ზეზე და მინდვრად გამოცვივდნენ.

— ერთი ამათ ნახეთ?!. ამდენი ძილი სად გაგონილაო? — დღისამ სიცილი დააყარა ბაჭნაჭურებს.

— ეგ ამოდენა მუცლები სად აისხითო?! — ხითხითით აჯავრებდა ბაჭიებს ვაზისა.

— აბა, რა ეგონათ, მთელი ბაღის სტაფილო მარტოკებმა რომ გადასუნსლესო, — ბუზღუნებდა ბაღისა.

— ახლა თქვენ იცით, ბაჭნაჭურებზე თვალი კარგად გეჭიროთ, ნამაძღარზე, წყალი არ მოსწყურდეთო, — უთხრა მზემ ზღაპრისას და ღრუბლისას და ცის აივანი კმაყოფილმა გაიხურა.

ბავშვებო,

მზის არ იყოს, ბაჭნაჭურების გამოჩენით, გული მეც მშვიდად მაქვს.

ჰოდა, თქვენაც რომ მშვიდად იყოთ, მოდით, ვეწვიოთ ზღაპრისას და არაკისას და ყველამ ერთად ვთხოვოთ, ამიერიდან, მელიები და მონადირეები ბაჭიებისკენ თვალით არ გაახედონ.

ისე,

იმ მონადირისა რა ვთქვა, ვინაც ბაჭია-ბაჭნაჭურებს ფიშტოს და ლაგატკას ესვრის.

იარონ მათაც თავისთვის. ჰოდა, ტყეს ხალისი არ მოაკლდება და მზეს და სხივებს — მათზე მზრუნველობა, ხოლო ჩვენ კი, ზღაპრები...

ჩანჩქერის ზღაპარი

«აგრემაც ჩაგედინები,
ქმნადა საქმისა, კარგისა;
ხან მთა-ბარს გამოვეწურვი,
ხან დამწყლულე ვარ ბაღისაო»,

მოილექსრაკრაკა ნაკადულმა ბექობ-ბექობი და ჩამოღმით, მდინარის ნაპირს მიადგა.

იქ, მდინარე მწყრალად დახვდა, უწყინა სიგვიანე,

— მეო, - უთხრა, - ამ მზე-ხვატმა, ლამის ქვიშა-ქვიშა ჩამლიოთ, შენ კი, აგრე ბაცაბაცა მოწინწკალაობო?!.

— მე ხომ გზად უთვალავი ყვავილი და ბალახი მელის, - თქვა ნაკადულმა, - აბა, მას გვერდს როგორ ავუვლიო...

— თანაცო, - მდინარემ მზერა აანაკადულა, - მაგრე წვეთი-წვეთა რად მარგებო?!

— აკი ამბობენ, სათავეში შენაც ისეთივე წინწკალა ხარ, როგორადაც მეო, - უთხრა ნაკადულმა, - ჩემ ჩამონაწვეთს სულ რო ხახაში ისხამ, მაგეთი დიდროა მიტომაც ხარ!.. მე რომ არა, მასაც ვნახავ, რა ხვითოც იქნებიო?!

— დიახაცო, — მდინარემ, — წვიმისხანობას შენაც კარგა გაფოთებით მოიჩქარი ჩემსაო?!.

მოკლედ რომ ვთქვა, წაეკიდნენ:

ამან ეს თქვა, იმან – ისა. არ დატოვეს უპასუხოდ, დარისა თუ ავდარისა. ბოლოს გზებად გაიყარნენ, გაღმისად და გამოღმისად...

ვერ გეტყვით მას აქეთ რამდენ ხანს იწანწკარა ნაკადულმა მინდორ-ჭალა მარტომ, ხოლო მდინარემ — უნაკადულოდ.

ერთი კია,

როცა ჩანჩქერისა ცის აივანზე მიმომსხდარ მზესა და მზის სხივებს ნაკადულისა და მდინარის ამბავს მოუთხრობდა, ბოლოს თურმე მათთვის ასე უთქვამს,

— მორჩის აწი ბუტიაობას და ორივენი აქ მოდექითო!

და კიდევ:

არ ვიცი შეურიგდნენ ისინი ერთმანეთს თუ არა.

აი, ჩანჩქერი კი, ისევ ისე მძლავრად მოსხლტის კლდისნაღარზე, ხოლო ნაჩანჩქერალში კვლავ უამრავი ბავშვი კი ჭყუმპალაობს და...

შუაღამის ზღაპარი

ერთ დედა ღორს, ორი ძუძუთა გოჭი ჰყავდა. გოჭებს სახელებიც კი რქმევიათ: ციფციფა და წიპციფა. გოჭები მეტად მაცაცერა და ანცები ყოფილან. გაიღვიძებდნენ თუ არა, მაშინვე დედასთან მიცვივდებოდნენ, მუცლებს რძით გაიტისნავდნენ და, ჰაიდა! მთელი დღე გზაში ეყარნენ.

ერთიხანობა, დედა თვალიდან არ იცილებდა და სულ უკან დასდევდა შვილებს. დროდადრო გოჭებიც წამოიზარდნენ და დედა ღორმა მეზობლების წყრომაც — რაა შე ქალო, როდემდე უნდა სდიო გოჭებს კუდშიო, — იყურადა და თავი მიანება.

გახარებულმა ციფციფამ და წიპციფამ, აქაო და, დედის გულის გამაწყალებელ ძახილს, — სად ხართ, ჩქარა აქეთ, აქეთო! — აღარ მოვისმენთო და სოფლის ბოლოს — მდინარის სათავეებთან იწყეს ჩასვლა.

იქ, გამოღმა სოფლებიდანაც მოდენილან მათი თანატოლნი. აჰყოლიან და დაჰყოლიან გოჭები თუ ცელქობასა და თუ სიცილს, წყალში ხტომასა და მდინარეში ყვინთვას. მერე და მერე კი, ისე მოშივნიათ, ისე, რომ ერთპირ შესევიან იქვე ჩადგმულ სიმინდის ყანას.

მიუტანია ვიღაცას ყანის პატრონისთვის ამბავი,

— სულ წაახდინეს და დააქციეს ღორებმა შენი ნაჯაფ-ნაოფლარიო.

გამონთებულა კაცი წალდით,

— მოვდივარ და დამიდექითო!

აქ კი, დამფრთხალან გოჭები. ზოგს ტყისთვის უკრავს თავი, ზოგს მდინარის ჩანჩქერებში, ზოგს სად და ზოგსაც სად...

მილეულა დღე. წალდიანი კაცის შიშით ციფციფას და წიპციფას სახლის გზაც დაჰკარგვია და კვალიც. ჩამსხდარან მდინარის პირად ერთ ლოდს უკან და კუდების გარედ გამოყოფისაც კი შინებიათ.

ესენი აქ რომ გალურსულ-გაყურსულები სხედან, იქ, მათი დედა პირ-სახეს იხოკავს თურმე მათზე დარდით.

— დამშვიდდი, ქეთუთ (დედა ღორს, ქეთუთა რქმევია), ვიპოვით, აბა რა იქნებაო, — უთქვამთ მეზობლებს.

სოფელი რომ ციფციფასა და წიფციფას მინდორ-მინდორ ეძებდა, შუაღამისას ხომ სმენია და სმენია მათი გადაძახ-გადმოძახილისა, გოჭების ადგილ-სამყოფელიც კი სცოდნია!

— გამოდით ახლა მანდედან, ჩაჰკიდეს ხელი ხელს და წინ გამიძეხითო, — უთქვამს შუაღამისას და გოჭები შინისკენ გაუგდია...

— ყოჩაღ, შვილო, სწორად მოქცეულხარ, ეგ საცოდავი გოჭები, მგელს სალუკმედ რომ არ შეატოვეო, — მოუწონა მზემ შუაღამისას.

ძმის საქციელით, სხვებმაც გაიხარეს და შუაღამისა ტაშით დააჯილდოვეს.

და კიდევ:

ციფციფასა და წიპციფას მაცაცერობაზე, მზესა და სხივებს, არაფერი უთქვამთ.

საინტერესოა ბავშვებო, თქვენ რას იტყვის?

ყვავილის ზღაპარი

ცისიას და ნამისიას დღეს მეტად ლამაზი დღე აქვს. მათ, სოფლის მინდვრებიდან ყვავილების დიიიდი თაიგული უნდა მიართვან თავიანს დედას დაბადების დღეზე.

დილაადრიან მინდვრად ყვავილების საკრეფად გასულთ, საკვირველი რამ სანახაობა კი დახვდათ იქ;

ყვავილები მწყრალად გამოკეტილიყვნენ თავ-თავიანთ კოკორში და გარეთ გამოხედვას არც კი ჰპირობდნენ.

ბავშვებმა დღე ყვავილთა ძებნაში მიმოქანცეს. რა მინდორი და ველი არ მოირბინეს, რა ფერდი და რა ჭალა. მაგრამ, რა?

ვერცრა ჰპოვეს სათავისო, არცა ლალი, არცა ხვითო, — ერთ კუკნა ყვავილსაც ვერსად გადააწყდნენ.

— რათაო, — იკითხავთ, — ყვავილთა წყრომა სად გაგონილაო?

— სადა და, აქა.

— რათა და, აი ამათა:

იყო ერთი და-ძმა. დას ცისია ჰქვია და იგი ექვსი წლისაა. ძმას კი — ნამისია და იგი დაზე წლინახევრით პატარაა.

ნამისიას ყველაზე მეტად ის აღიზიანებდა რომ და მასზე უფროსია. უფროს-უმცროსობით გამწყრალი, ხანდახან ისე გულამოგდების ატირდებოდა და იქამდე ისლუკუნებდა, ვინემ დედა კალთაში არ ჩაისვამდა და მტკიცედ არ ეტყოდა, — ნუ, ჩემო ჭკვიანო და ჩემო ყველაზე დიდო ბიჭოო.

«ყველაზე დიდობით» გაგულისებულმა ნამისიამ, ერთი-ორჯერ ისე მწარედ მოჰქიჯნა დას თმაში, რომ ცისიას ტირილის ხმაზე ციდან მის საშველად მოფრენილ ჩიტებს, ნახევარი დღე დასჭირდათ ცისიას ლოყაზე ცრემლჩამონაწვეთის ამოსაკენკად.

კიდევ კარგი, და-ძმის ამგვარი წაკიდება ხშირად არ ხდებოდა. ჰოდა, ნურც ჩვენ გავაზვიადებთ, მით უფრო, ვისაც ძმას და გყავს და დას-ძმა, კარგად იცით, და-ძმის ჩხუბი ყვავილთა რტოებზე მიმომსხდარ პეპლებს თუ შეაკრთობთ მხოლოდ და მხოლოდ.

ახლა, პეპლებზე:

ცისიას და ნამისიას ძალზე უყვარდა პეპლების ჭერა და მათი ფერად-ფერად მინის ქილებში ჩასმა.

ერთიხანობა პეპლებმა ისიცა სთქვეს, ბავშვური მახდინრობით მოსდითო, და ითმინეს და იკვირვეს რაც რომ შეეძლოთ.

ბოლოს, ვეღარ მოითმინეს და კრება შეკრეს;

— არა, ბატონო, ჩვენ ღმერთს ცისთვის გავუჩენივართ და ცაში უნდა ვიყოთო, — თქვეს და იქაურობას ცად გაერიდნენ...

ყვავილებმა,

აგერ ახლა გაუვლით პეპლებს წყენა, აგერ ახლაო, და მთელი დღე ელოდნენ ციდან მათ დაბრუნებას.

ლოდინს, ლოდინი მოჰყვა, დღეს-დღე.

მერე...

პეპლების გაუჩინრობით გაბუსხულმა ყვავილებმა ერთურთს გადასძახეს;

— მათ გარეშე, აქ ჩვენი ყოფნა არ ღირსო. ჰოდა, ადგნენ და, ცისიასა და ნამისიაზე გამწყრალნი, თავ-თავიანთ კოკრებში მიმოიკეტნენ.

— აგე, მაგრე მოგიხდებათო! — ჩამოსძახეს ცისიას და ნამისიას ხის ტოტებიდან ბეღურებმა, — აბა, რა გეგონათ?! მოაღეთ ახლა პირი და იტირეთ რამდენ ხანსაც გენებოთ!.. განა პეპლებს არ ჰყავთ თავიანთი დედა? იქნებ ყვავილები გგონიათ უდედო? იქნებ — ჩვენა?!.

არ ვიცი, კიდევ რამდენ ხანს გამოაჯავრებდნენ ბეღურები და-ძმას, მათთან ყვავილისა რომ არ გაჩენილიყო,

— კარგით, მორჩის ახლა ცრემლების პურჭყვას, გადით მინდვრად და დაკრიფეთ ყვავილები თქვენი დედიკოსთვისო, — უთხრა ყვავილისამ და-ძმას და კოკრებიდან ყვავილები გამოიხმო...

და კიდევ:

ვერ გეტყვით თუ რას ფიქრობდნენ ბავშვები მაშინ, როცა დედისთვის მისართმევ ყვავილების თაიგულს ჰკრავდნენ.

ერთი კია, ყვავილისა ყველას ერთპირ არწმუნებდა;

ამიერიდან ცისია და ნამისია ყვავილებსა და პეპლებს აღარასოდეს გააჯავრებენო,

ვნახოთ.

ქარის ზღაპარი

ქარის მოტანილზედ ვწერ:

პირველი, რაც კი დილისთვალს დაენახა, ეს — ია იყო.

— აქ, გზისაპირადო? — გაჰკვირდა კაცი.

ია, ჭალაში ეგულვოდა. კიდევ — მინდვრად, წყაროსთან, პურისყანაშიაც. ადრეწინათ კი — «დედა ენაში!»

მერედა, როგორად დაჰნატრობდა და თვალისაჩინობდა იმ მადლიანს — აი იასა?!

აკი, წაჰმღერდა კიდეც, ხშირად:

აი ია, აი ია —
წაჰფენია კორდებს,
აუფრინდნენ ბეღურები
გაზაფხულის ნოტებს.
და ჩაჰმარცვლეს ნისკარტ-ნისკარტ —
მინდვრად, ჟღურტულ-ხალისი.
— ბეღურა რომ იას ჰყვარობს,
მას ჰგონია, არ ვიცით?
თუმც ეგ, სხვა დროს,
ამ დილით კი — მოგვილოცეს მაისი...
ახლა, იაზედ:
— ისა და ის რო: როცა მზის სხივებმა კლდის ჩრდილი გადაიმხარეს...
(— რატომ კლდისა?
კიდევ—ტყისა, მერე ხისა, მერეც გზისა —
ჩასავლის და ასავლისა.
რა გასწვეთთა ბალახთ ნამი,
დილაც გადაშუადღევგახალისდა).

— ჰო... მაშინ, იასაც გაეღვიძა. გაჰკვირვობით მიმომზირა ირგვლივ, წუხელი ხომ მთისა ფერდს ვესახლეო? — სთქვა და მიმოპურწკა პაწაწკინა ცრემლები აქეთ-იქეთ.

ქარს კიდევ, რა? განა ნაღვლობდა რასმეს?!

ისე ჯიუტად მძლავრისობდა აღმა-დაღმა, ხეთა ფოთლებმა სულ გულის ხეთქვითა სთქვეს,

— ე მანდ ყლორტებს მაგრა ჩავეწმახნოთ-რო, ჩვენაც აქა-იქა არა მიგვაცვივნოსო.

კაცმა,
ეგა, იას კარგს არას დაჰმართებსო, სთქვა და გზად გადავიდა.

— მერე რო ია იქ აღარ დახვდა?!.

გარეთ კი, ისე მძლავრისობდა ქარი რომ...

თუმცა არა, არ ღირს ქარზე მეტად!..

მიწის ზღაპარი

აპრილს წვიმა დაჰყვა. სჩვეოდა აკი წვიმობა, ადრეწინათაც. მიწას, იცოცხლე — უხდებოდა ცისაწვეთა. კეთილობდა მიტომაც. თანკი, მადლობლობდა კიდეც ცას; ჩასტანდა ფესვთამდე ხეს, ვაზს, მეტადრე — ახლადრგულს, ახლადმყნულსა.

თანდისხნობით ამოსწვერდა მიწიდან ბალახი-ჟიჟო, წაჰფენდა მოლად — ხევს, ჭალას, მინდორს, ჩაჰნაცვლებდა ენძელს, იას — მოსულს მარტისპირად (აპრილზედ ვწერ), და ითქმოდა ამგვარად:

«მინდვრებს მოჰფენს მოლი მწვანე,
— გაზაფხული მოვიყვანე,
— ბუტბუტებდნენ აპრილები.
და მოასკდნენ რტოს კვირტები,
— საყვავილოდ აყრილები.
ჭალებს დაჰყვა ნაკადული,
სველი ფუნჯით დახატული.
და აპრილმა ცის აივანს
გამოფინა გაზაფხული.
ეგ, მინდვრად,
აქ, ყანისპირად კი — ჰბრუნავდა ბელტ-ბელტად მიწა საყანური — სახვნელითა და გუთნით, მკლავითა კაცისა, მეტწილ — ყმაწვილთა,
— აამოო, — ჰო, — გაჰყვიროდა ისიც, ხარსა — ლაბას.
ბავშვნი — ბარსა სტანობდნენ,
— ღრმად, ღრმადაო! — ბუბუნებდა მიწა საყანური და ჩაჰფენდა ისიც ღრმად მარცვალს — საპურეს...
მაისობას, იკვირტავდა ხე — ახლადრგული. შეჰფენდა ყვავილს ცად — მზისაპირად.
რაღაცა ახალს, ისიცა ჰპირობდა, ანუ — მზე, ესე იგი — ყვავილს: სხივებს, სითბოს და მაინც მთავარს — სიცოცხლეს!
— ეგრე, დალოცვილოო, — ჰხარობდა ხე ახლადრგული და სცილობდა მიწას, მტკავლა და მტკავლა...

კ ა კ ა ლ ო

დილით გვიან გამეღვიძა. შიშველი ფეხი ფლოსტში წავდგი და თვალების ფშვნეტით ახორში გავედი (ახორს ჩვენში მიწურ ოთახს ეძახდნენ, სადაც შუა ცეცხლი ენთოთ და მეტწილად სამზარეულოდ იყენებდნენ).
— რა გეჩქარებოდა, ბებია, ვერ იძინე კიდო ერთ ხანს, — მითხრა ბებიამ და კეცს გავარვარებული ნაკვერცხალი დააყარა.
— ბიჭებს არ ჩამოუვლიათ? რომელი საათია? იცი, ბები, დღეს წიაღუბნელებს ვეჯიბრებით ფეხბურთში! — მივაყარე სულმოუთქმელად და კარში გასაქცევად მოვემზადე.
— დაჯექი მანდ! სანამ ხელ-პირს არ დეიბან და საჭმელს არ შეჭამ, იცოდე, ეზოდან ფეხს ვერ გაადგამ!
— ჰოოო, კარგი რა, ბები, რა. დაიწყე ისევ შენებურად, ხომ გითხარი ფეხბურთში შეჯიბრი...
— ხმა, კრინტი! თუ ხედავ რას დეემგვანე, მარტო ყურები რო ხარ დარჩენილი, თუ იცი მაგი?!
— კი აბა, ყურები...
*
ბებია ახალაძის გვარის ქალი იყო. თორმეტი წლისა მიუყვანია ბაბუას შინ. არც ბაბუა გახლდათ დიდად მოწიფული. ორი წლით ყოფილა მასზე დიდი.

ბათუმიდან მონავალა ბაბუა (ბებია «ბათომს» ეძახდა). დაღლილს ჭიშკართან წყალი ეთხოვა. მოსწონებია წყალდამპურე გოგო ვაჟს, - შორი გზით მავალი ვარ, ეგ თუნგი დამასაგზლე, მერმისობას დაგიბრუნებო, — უთქვამს.

მას აქეთ ბევრი იარა ვაჟმა, სოფლიდან-სოფელში თუნგით ხელში...

ერთ დღესაც გოგოს ტუჩზე ღიმილი წაუკბილავს, - ე მაგ თუნგს, თქვენი სოფლის წყაროს წყალი არ ეზიდვინებაო, - უკითხავს.

მეორე დილის, ხუთ თანატოლ ბიჭთან ერთად მიამაყრა ვაჟმა გოგოს ჭიშკარს...

შვიდი შვილი აჩუქეს ქვეყანას. ხუთი ქალი და ორიც, ვაჟი. უხაროდათ და უყვარდათ ერსმანეთი. ორი მკერდსმიკრული ჩვილი დაუტოვა ქმარმა ცოლს, როცა სამამულო ომის ზარმა ჩამოჰკრა.

შუაღამისას გადავიდა ვაჟი ეზოდან. ეძინოს, ძილში წასულს, სიზმარში ხშირად მნახავენო, უთქვამს ცოლისთვის. ის დღე იყო და ის, მას უკან ბაბუა შინ აღარ დაბრუნებულა.

*

— ვერიჩქა ბებია, ვერიჩქა ბებია! — მოგვაძახეს ალაგედან.

— გახედე, ერთი ბებია, ვინაა.

— ვერ იცანი ვითომ, ვინაა და რომანიე.

— რა, რაი ქენი ახლა, მოახდინე რამე ავი საქმე, ხომ კი?! მაი აქანე ტყულათ არ მევიდოდა.

— ავი საქმე არა!

— აგერ ვნახე, ა.

— რავა გადაღმიდან იძახი, ბებია, გააღე ჭიიკარი და შემოი იინ! — გასძახა ბებიამ სტუმარს.

რომანი ახორში შემოვიდა, სამფეხა ჯორკო აიღო და გვერდით მომიჯდა «ვირისთავი, ვითომ გულზე ვეხატები!».

— ამ საღამოს თქვენსან ვაპირებდი გადმოსვლას. ტიტეიას უთხარი, ვერიჩქამ შემოგითვალა, საარყე ქვაბი მათხოვე, რაცხა ორი-სამი დადგმა ჭაჭა მაქვს გამოსახადითქო, — უთხრა ბებიამ.

— ვეტყვი. დილით უღელს ვმართავ. ტყეში მივალ შეშაზე და გამოგიძღვანიებ, — ისე უგერგილოდ თქვა სტუმარმა, ჩანდა, რომ იგი არც საარყე ქვაბის მოსატანად იყო ჩვენსას მოსული და არც იმის მოლოდინში, თუ როდის ამოიღებდა ბებია კეციდან ცხელ მზადს.

სიჩუმე ჩამოდგა. ჩვენ მოუსვენრობა დაგვეტყო, რადგან ვიცოდით ეს სიჩუმე ბებიას დასმულ კითხვებს უნდა დაერღვია.

ასე მაგალითად:

პირველი, — რაო, რაი გააფუჭა ჩემმა ბაღანამ?

მეორე, — ისევ თუთუნი მოპარა ლაფიერა ბრუციანს, ხომ?

და მესამე, — რავა, კიდო დააპუტა დუსიელეს ბატებს ბუნდღა, ხომ კი?!

ბებიამ კეცზე მიმქრალ ნაკვერცჩალს სული შეუბერა, მერე თავი ასწია და სტუმარს გახედა.

— თქვი აწი რომანია, ბებია, რაი გააფუჭა ჩემმა ბაღანამ, კიდო თუთუნი მოპარა ლაფიერა ბრუციანს, სუ ისევლე ბუნდღა დააპუტა დუსიელეს ბატებს?

ხომ გითხარით, ეს სცენა, სულ ცოტა, კვირაში ორჯერ მაინც იდგმებოდა ჩვენსას. ჰოდა, სანამ რომანი თავის საშპიონო გუდას მოხსნიდეს თავს, გეტყვით,

ჯერ თუთუნზე:

ლაფიერა ჩხაიძეს მართლაც ჰქონდა გაშენებული თამბაქოს პლანტაცია. თვალმზედანატრული დასცქეროდა მოხუცი პლანტაციის თითოეულ სრიელს. გვალვიანში მაჩხიბივის ტრიალებდა ვედრით ხელში და მზის დაბუბნულ თამბაქოს ფოთლებს პეშვნაპკურებდა. ავდრიანში კი, თოხის ძირებს უმაგრებდა. მოხუცის გულმეტობას მცენარეც გრძნობსო, ერთპირად იტყოდა ბაღსგადამცქერი შარას ამვლელ-ჩამვლელი. ასეც იყო, მოხუცი თუთუნის იმდენ მოსავალს იწევდა, რატო ერთი წელი არ იკმარებდნენ მთელი გურიის კაცები ფილტვების სახრჩოლებლად. მაგრამ რა, ლაფიერა მეთუთუნე ისეთი ხელმწირი იყო, ერთი საჩიბუხე თუთუნი რაა, მასაც არავის მოუფცქვნიდა.

ამიტომ, ახი იყო რასაც მას და მის თამბაქოს პლანტაციებს ვაწევდი. გვიან საღამოს ჩუმად გადავძვრებოდი მოხუცის პლანტაციებიი, მიწიანად ვტრეტდი თამბაქოს ძირებს და ერთიანად მივურბენინებდი სოფლის თემში ხიმეებზე გადმომსხდარ დიდ ბიჭებს. სანაცვლოდ, სოფლის კლუბში შეშვება და ფილმზე ან წარმოდგენაზე დასწრება მანამ მქონდა გარანტირებული, ვიდრე, ისინი თუთუნს იკმარებდნენ.

ბატის ბუმბულზე სხვაგვარად იყო:

ყოველ ას ღერზე (მგონი ბუმბული აუცილებლად ფრთის უნდა ყოფილიყო), სოფლის დიდი გოგოები ფეხბურთის ბურთს ერთი საათით გვაძლევდნენ. ვისაც ბავშვობაში ფეხბურთი გითამაშიათ, დამეთანხმებით, ერთი საათი გუნდის შედგენას და ჭინჭყლაობას რომ სჭირდება, ამიტომ, რაც მეტ ბუმბულს მივუტანდით გოგოებს, ბურთიც მეტ ხანს გვექნებოდა. სულ მაინტერესებდა, რად უნდას ამდენი ბუმბული-თქო. ამ კითხვას თავად მათ გასცეს პასუხი, ოთხი წლის შემდეგ, როცა სკოლა დავამტავრე და სოფლის ორღობეებსა და ხევის წყლის ნაპირებზე საბოლოოდ გამოვეთხოვე ერთ გამწლიკვულ და შავტუხა (სოფელში ასე მეძახდნენ ბ.მ.) ბიჭს. მათ სხვადასხვა ფრინველის ბუმბულისაგან მოქარგული ულამაზესი მარაო მისახსოვრეს.

ბურთაობა და მარაოს ქარგვა კარგია, მაგრამ, აბა წარმოიდგინეთ, როგორი დასანახი იქნებოდა ოჯახის დიასახლისისათვის ჭიშკართან დაცვენილი ბუმბულდაპუტული ბატების ყურება? ატყდებოდა ერთი მითქმა-ვიში:

— ვინ, ვინ ქნა აი გლახა საქმეო?!

რასაკვირველია, ყველა მჯიღსმოსხლეტილი საჩვენებელი თითი ჩემკენ მოემართებოდა, - ბებიას ბიჭი, ბებიას ბიჭი იზამდაო.

აი, მაშინ უნდა გენახატ ბებიას გაავება,

- ვაგლახად არავინ შემოხედოს და ბაღანე ვინმემ არ გამილახოს თვარა, ისეთ სასწაულს ვუზამ, შჭარაზე თავი არ გამოეყოფოდესო! — გამოსძახებდა ჩვენი ეზოს ჭიშკართან თავმოყრილ მეზობლებს, — რასაა რო ამბობს, რა შავ ქვად უნდა ჩემ ბაღანას ბატის ბუნდღაო!...

ბავშვებს რომ არაფერი გამოგეპარებათ და კითხვების დასმაც რომ გიყვართ, ეს ყველამ კარგად ვიცით, ჰოდა, აქაც ხომ იკითხავთ,

- შენი მეგობრები სად იყვნენ, ყველა ავ საქმეს შენ რომ ჩემულობო?

- გეტყვით,

მე სოფელში ზაფხულობით ჩავდიოდი, ისინი კი იქ ცხოვრობდნენ, და ერთი წარმოიდგინეთ, როგორ უნდა ეცქირათ (ბავშვებს ხომ დიდებზე მეტი თავმოყვარეობა აქვთ!) ლაფიერა ბაბუასა და დუსიე ბიცოლასთვის თვალებში მთელი წელი?! (დუსიე, ჩვენი სოფლის მოსკოველი რძალი იყო, სალდათიდან წამოეყვანა გრიშა გაბედავას შინ). მე კიდევ რა მიშავდა, აგვისტოს ოცდაათში რომ ჩამსვამდა ბებია ავტობუსში და ქალაქში წამიყვანდა, მორჩა მომავალი წლის მაისის ბოლომდე სოფლისკენ ვინ გამომახედებდა.

*

მოდის ისევ ახორშ დავბრუნდეთ ვნახოთ რა ამბავი მოიტანა რომანიმ ამ ჯერზე.

ისე, სჯობს ორიოდე სიტყვა მასზეც გითხრათ, თორემ ვინ იცის, შეიძლება ისეთი მატყუარა ჭინკები ამოცვივდნენ მისი საშპიონო გუდიდან, საკითხავია, რომელი რომელს ვასწრებდეთ ბებიას კარში.

რომანი ორი კლასით იყო ჩემზე წინ. სიმაღლეშიც კარგა გვარიანად მისწრებდა და ძალაც ჩემზე ბევრად მეტი ჰქონდა. სულ საოჯახო საქმეებით იყო დაკავებული. აქეთ, თუ ყანა და თუ ვენახი, თუ ტყე და თუ საქონელი. ოჯახში ყველაფერი მას ებარა. მას ეკითხებოდნენ, მას უსმენდნენ. სტუმარს მასპინძლობდა, წამსვლელს აცილებდა. უნდოდა ყველაფერი სცოდნოდა, ყველაფერს ჩემულობდა, ყველაფერზე თავად ზრუნავდა. თავად, თორემ ვინ ოხერი დაავალებდა თითისტოლა ბავშვს ხარ-უღელის გამართვას და სამწყება ნაჯახით ტყეში შეშაზე სიარულს, თანაც ისეთი კაცის შვილს, რომელზედაც ბებია იტყოდა — ტიტეიამ თუ მეინდომა, უღრუბლო ცას წვიმას გამოსწურავსო.

ჩვენთან თამაში არ უყვარდა. დროდადრო ფეხბურთის თამაშის წინ ბიჭები სათვალავში თუ მოვნაკლდებოდით, მთელი დღე უკან ვდევდით და მისგან "ჰოს" მოლოდინში, ხან სამარგლავში ამოგვაყოფინებდა თავს და ხანაც ბაღ-ვენახში წაგვასხამდა მამითადად.

ისეთი ენაწყვეტა იყო, როო... სოფლის ყველა გზა მის თვალზე გადიოდა. საღამოს, მთელმა სოფელმა იცოდა, რომ, — რეზოიე ჩხაიძის ეზოდან ამ დილით სასროლი ბადე ქე რო დეიკარგა, და მერე იგი ბადე ხევისწყალზე რო იპოვეს ბანდღებზე გადაფხრეწილი, იმან და იმან ქნა მაგიო, ჰოდა, მაი ბადე, ოცი კი არა, თუთხმეტი მანათი და სამი შაური ღირს სამტრედიის ბაზარშიო. (როცა სოფლის ფოსტალიონს, მართლაც დააბარეს ბადის ზუსტი ფასი გაეგო, ჩვენს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, საიდან უნდა სცოდნოდა რომანიას ბადის ფასი, როცა იგი სამტრედიაში ნამყოფიც არ იყო!).

- ა, ბატონო! უნდოდა კი "ბადის საქმეს" ვექილ-მოსამართლე? დამნაშავეც ცნობილი იყო და მოსამართლეც (შპიონი. მოვიდეს და მეკარეობაში შემეჯიბროს თუ ბიჭია, მე ატიდან შვიდ პენალტს ვიღებ!).

ან კიდევ:

თუმცა არა. ახლა ყველა მისი საშპიონო ამბები, ამ ოცდათხუთმეტი წლის შემდეგ აქ თუ გამოვფინე, რა გამოვა, მე ხომ "შპიონის შპიონი" ვიქნები (ეს ტერმინი ჩვენს სოფელში ძალზედ მიღებული იყო. ბ.მ.). ამიტომ მოდით მოვუსმინოთ, დღეს რა საქმეზე გვესტუმრა:

— მამამ დამაბარა, ვერიჩქას უთხარი, თუ თავის თხას არ დააბამს, იცოდეს, თოფს ვესვრიო.

— კიდო, კიდო რაი დაგაბარა ტიტეიამ? — ჰკითხა ბებიამ.

— რაიოდა, კიტრივით გავაგორებ მიწაზეო. აბა, რა ჰგონია სულ რო გადაგვიტკვირა ვენახიო.

— ესე იგი, თოფს ვესვრიო, ხომ?! (ოჰო, გაცხარდა ბებია), — უყურე, რაი შემოუთვლია ტიტეია გლახას?! გადაქარდით აქედან შენ და ბრუტიანი მამაშენი, თვარა, ახლავე თავებს დაგიხეთქავთ, ა! — ბებიამ საცეცხლურს ხელი წამოავლო.

— ნახე მამაიას თუ არ ვუთხრა ყველაფერი! — წამოიძახა რომანიამ და კარში ისე სწრაფად გავარდა, თითქოს მართლაც ედრუზოს ვინმეს მისთვის თავში ის საცეცხლური.

ის იყო, რომანი ალაგეს გასცა, რომ ახორში მარია მამიდა შემოვიდა.

— რა უნდას ქალო ამ თხისგან, კაკალოს ძვალი დაადგეთ ჩხაიძნეებს გულზე. თავად ჯოგად დოუდის და, რავა, ჩვენი ერთი კინკილა თხაი გოუკვირდათ, ბეჩა?!.

*

მარია მამიდა ბებიას მული გახლდათ, თითქმის ბებიას კბილა. ამას ბებია ამბობდა, თორემ მარია მამიდასთვის რომ მოგესმინათ, - ვერიჩქე რძლად რო მევიყვანეს, ფეხი ახალი ადგმული მქონდაო, - სულ ამას გაიძახოდა. თუმცა ბებია მის ასაკს დიდ ყურადღებას არც აქცევდა, ამიტომ ნურც ჩვენ ჩავეძიებით.

მათი სახლები ერთ წნულღობიანიი იდგა. ჭიიკარზე ერთი გზა მიუდიოდათ და წყალსაც ერთი ჭიდან სვამდნენ. როცა ბებია დაქვრივდა, მარია მამიდამ ყველა ხელისმთხოვნელ ბიჭს ერთდროულად ააფარა სახეზე სიყვარულით გაშლილი მარაო და რძალს შვიდი ობოლი ძმისშვილის აღზრდაში შეუმხარდა. მერე და მერე, ძმისშვილებს, ოცდაერთი შვილიშვილი შევემატეთ და ასე დავტოვეთ ყველამ ერთად მარია მამიდა გაუთხოვარი!

რძალ-მულმა მთელი ცხოვრება სიამეში გაატარეს, სოფელში ამბობდნენ, ერთი საძვირპირო სიტყვა რაა, ერთიმეორისთვის ისიც კი არ უთქვამსო.

მხოლოდ აქეს, სიბერეში უმძრახეს ერსმანეთს. ისიც, ერთი ქარიფინდა დედლის გამო. დედალი რიგრიგობით სდებდა კვერცხს, დღეს აქეთ, — ჩვენსას, ხვალ კი იქეთ — მარია მამიდას ბუდეში. ერთხელ, კრუხობის წინა ღამეს, ჩვენს ბუდეზე არ ჩასძინებია იმ სასიკვდილეს?! თან, ერთი ნალევი კვერცხიც ქე დავარდნია ზედ, აბა?! ჰოდა, მეორე დილით ჩვენს ბუდეში კვერცხმა ერთით რომ იზედმეტა, ამას თან დედლის დაკრუხებაც რომ დაემატა, სწორედ, მაშინ ჩამოიქროლა ავქარმა ჩვენსას. რძალ-მულმა ენამწარედ გაჰკბილეს ერთმანესს. იმდენი იავდრეს, იმდენი, ვინემ ლაფიერა ბაბუას ტყიდან ზურგის წკნელი არ მოაზიდვინეს და ეზო არ ჩააშუაწნელღობვინეს.

ლაფიერა ბაბუამ, - სოფელი გაიგებს, სირცხვილია, რას იტყვიანო და წნულღობე ისე ჩაავლო, ჭა ჩვენსას, ოწინარი კი იქეთ, მარია მამიდას ეზოში მოატანა, წყალი მაინც ჰქონდეს საენატკბილოდო.

გაცივდა მათი ამდენი ხნის სულნაპკური კეც-ღადარი. დარჩნენ მოხუცები თვალჩამონაწვეთი კაკალ ცრემლის ამარად. ძნელი შეიქმნა ეთქვა ვინმეს, რომელი პირველი შეუნთებდა საზიარო ღადარს ასანთის წინწკალს და რომელი-რომელს გადააწვდიდა მზადის თბილ ნატეხს წნულღობის გადმოღმიდან.

... რომელი - როდის (?)... ისევ ის ქარიფინდა დედალი რომ არა, რომელმაც კრუხბუდობის მეთორმეტე დღეს მიატოვა საბუდარი და იმდენი იბენტერა ეზო-ეზო, ვინემ ქორს თუ ალალს თავი არ გაანისკარტბრჭყალებინა.

მისცვივდნენ ქალები იმ ავად სათქმელ ადგილს. რამდენი არ უქშიეს, რამდენი არ უყიჟინეს, რა ქვა და რა ბელტი არ მიაყარეს ცას, მაგრამ რა, ქორს თუ ალალს, თავისი საქმე კარგა ხნის მოთავებული ჰქონდა.

უსიტყვოდ ჩამოსხდნენ მოხუცები გვერდი-გვერდ. მერე თავი ერთიმეორეს მიადეს და ჩუმი ხმით ამოიმწუხრეს, - რას ვიზამთ, ასეთი ყოფილა მისი ბედ-განგებაო...

*

— პეეე-ე, - მოვედიო - მოაპეტელა კაკალომ ალაგეს. მე, ადგილიდან წამოვხტი და კაკალოს მივეგებე (რომანი და მისი ოჯახი ბებიაჩემისა და მარია მამიდას წყევლისგან, ისევ კაკალომ იხსნა. ერთი მოგესმინათ, როგორი წყევლა იცოდნენ, კაჟის ქვა რომ კაჟის ქვაა, ერთ წამში სულ მტვრად მოასირგვალებდნენ ხელისგულზე. როგორ გგონიათ, მართლა გულით იწყევლებოდნენ? არა, თქვენ არ მომიკვდეთ (ბებიას სიტყვებია), უბრალოდ, სათქმელს ძარღვს გამოსდებდნენ, თორემ მათი წყევლისგან დაქცეული და დავსებული კაცი სოფელში არავის უნახავს).

— პეე-ე, რას მიყურებ, ხომ ხედავ მოვედიო, — გაიმეორა კაკალომ.

— ვხედავ, ქალბატონო, რომ მოხვედი. რა გინდოდა რომანიეს ვენახში? იცი, აქ რომ იყო და რაი უთხრა ბებიას?

— პე-ე, - რაიო?

— რაიოდა, მამაჩემი კაკალოს თოფს ესვრისო.

— პეეე-ე, - ვიციო, — აგერ შემხვდა, შუკაში გარბოდა. მე არავის ვენახში არ ვყოფილვარ, ტყუილია მაი. ქვეით ვიყავი. ჩვენი ყანის კიდეებზე ვიწიწკნებოდი. ჰო, ჰო, რას მიყურებ?.. ადექი, გამიღე ჭიიკარი და ეზოში შემომიშვი, ხომ ხედავ მაკედ ვარ და ალაგეზე გადმოხტომა არ შემიძლიაო.

ჭიიკარი გავაღე. კაკალო ეზოში შემოვიდა და ხუსხუსით ბაგას მიაშურა. მე ჭიდან წყალი ამოვიღე, ტაიტზე დავასხი, შიგ ერთი პეშვი მარილი ჩავყარე და ბაგაში შევედი.

კაკალომ შეხედა თუ არა წყლიან ტაიტს, ჩემკენ წამოიწია.

— აჰა, მარილიანი წყალი მოგიტანე, — ვუთხარი და ტაიტი წინ დავუდგი, — მიდი, დალიე, მე წავალ და ბალახს მოგიტან.

— პეე-ე, არა ბალახი არ მინდა, წყალს დავლევ და დავისვენებ, დღეს ძალიან დავიღალეო, — მითხრა და ტაიტში ტუჩი ჩაყო.

— კარგი, აბა წავედი.

— პეეე-ე, ხვალ ადრიანად გამიღე ბაგის კარი, ამბობენ, ღელიანში იონჯა ამოსულა, მინდა ცვარიანზე მივირთვაო, — მომაძახა.

— ვიცი მე შენი იონჯა, დილის თავად წაგიყვან საბალახოდ და ვნახოთ მერე როგორ იტყვის რომანიე, შენი კაკალო ჩვენს ვენახში იყოო, — ვუთხარი და ბაგის კარი გამოვხურე.

— პეეე-ე, — ნახვამდისო, - მომაძახა კაკალომ.

დილის, პირდაპირ ბაგას მივადექი. ბაგის ღია კარში შევიხედე. კაკალოს თვალი რომ ვერ მოვკარი ყვირილი მოვრთე.

— ბებია, ბებია, კაკალო სად არის?!

— რა გაყვირებს? ვერიჩქე ქალაქში წევიდა, ბალი წეიღო ბაზარში გასაყიდად. საღამოს რეისით დაბრუნდება, სახლი არ მიატოვოსო, დაგიბარა, — გადმომძახა მარია მამიდამ.

— კაკალო სად არის?

— დაბლაა, ყანის ბოლოში, მალ-მალე ჩახედე, რამე არ მეიწიოს, ნაშუადღევს ვედროთი წყალი ჩაუტანე და დაალევინე.

ახორში შევედი. კეციდან ზადის ნატეხი ავიღე, ზედ, ნახევარი წველა ყველი დავადე და ყანისკენ დავეშვი. კაკალო ყანის კიდეზე იწვა, მუცელი ფეხებს შუა გაეგდო და ყურების ბუზებს იგერიებდა.

— კაკალო! — დავუძახე იორიდან.

— პეეე-ე, — აქა ვარო, — მომეგება და ასადგომად წამოიწია.

— იწექი, არ ადგე, — ვუთხარი და გვერდით მივუცუცქდი, — ნუ გეშინია, რომანიე ვერაფერსაც ვერ გიზამს, აბა ერთი რამე გაბედოს?!

— პეეე-ე, კი გეგონოს, აი, ნახე რა მიქნესო, — მითხრა და წინა ფეხები მაჩვენა.

ბებიას მისთვის ჯაჭვის ბორკილი დაედო.

— ასე, ხომ?! აბა ნახოს რომანიამ თავი თუ არ გავუჩეჩქვო! მე ახლავე მოვალ, ქლიბს მოვიტან და მოვალ, ხო?

— პეეე-ე, მალე მოდიო, — მომაძახა კაკალომ.

*

ეზოში ბიჭები დამხვდნენ. დამინახეს თუ არა, ყველა ერთხმად მომეგება?

— სად ხარ, ეე?! რამდენი ხანია დაგეძებთ!

— რატომ, რა ხდება?

— რა და, წიაღუბნელებს ვეჯიბრებით. იცი კარში ვინ ჰყავთ?

— ვინ?

— ის თბილისელი, შარშან რომ ტრაბახობდა ”ავაზაში” ვთამაშობო.

— მერე რა, ჰყავდეს.

— იცი, რა თქვეს?

— რაო?

— რაოდა, ნიძლავზე ვითამაშოთო.

— რაზეო, არ უთქვამს?

— კი, ლიმონათზეო. წაგებულმა ერთი ყუთი ლიმონათი იყიდოსო. ნუ გეშინია, თუ წავაგეთ, ჩვენ ვიყიდით. ფული მერაბის აქვს.

— მერაბის?

— ჰო, ნახე, რამდენი მაქვს, — მერაბიმ ჯიბიდან ფული ამოიღო.

— საიდან? სად გქონდა ეგ ფული, იპოვე?

— არა, დედამ მომცა. გუშინ მამასგან ალიმენტი მივიღეთ, მთელი ოთხი თვის ერთად. მე ხუთი მანეთი მომცა, მითხრა, რაც გინდა იყიდეო. ჰო, მართლა, მარსლა, თუ არ გჯერა, წამო და დედაჩემს ჰკითხე.

— კარგი, არ გვინდა ეგ ფული. ჩვენ მოვიგებთ, წავედით! — ვთქვი და სტადიონისკენ მოვკურცხლეთ.

სულ რაღაც ოც-ოცდახუთ წუთში მეტოქე გუნდის წევრები ერშმანეშის პირისპირ ვიდექით. მსაჯობა, ჩვენი სოფლის ფოსტალიონს, ჭიჭიკოს მივანდეთ. მას ეს პატივი ორი რამის გამო ერგო. ერთი, - როგორც თავად ამბობდა, გარინჩას ნაჩუქარი ვერცხლის სასტვენი ჰქონდა, — მოსკოვში პირადად მაჩუქაო. თუკი ჩავეძიებოდით, გვაჩვენე როგორია და გვითხარი როდის გაჩუქათქო, საგულდაგულოდ ჩაიდებდა სასტვენს კიტელის მარცხენა ჯიბეში, ღილს შეიკრავდა და დაგვტუქსავდა, რომ მაბრაზებთ არ გაჩვენებთ, მომწყდით თავიდანო! (სიმართლე გისხრათ დღესაც მაინტერესებს როდის იყო გარინჩა მოსკოვსი და თუ იყო, მართლა მოიცალა იმ დალოცვილმა ჭიჭიკო ფოსტალიონისთვის?). და მეორე: იგი კვირაში ორჯერ ჩადიოდა სამტრედიის ფოსტაში თავის სამთვალა ”მოტოროლით” ფოსტის მისაღებად და ის ერთი ყუთი ლიმონათი მას უნდა მოეტანა ქალაქიდან.

მეტოქის კარს, მართლაც ”ავაზელი” იცავდა. ყოველ შემთხვევაში მაისურზე ”ავაზა” ეწერა. ჩვენი გუნდის გოლკიპერობა მე ვითავე. როგორც წესად გვქონდა, ტრადიციულად მივესალმეთ ერსმანეთს, ანუ, მოვიკითხეთ ერთმანეთის ბებია და ბაბუა, სად უფრო კარგი საბანაო იყო, თევზი თუ მოჰყვებოდა ბადეს, ვის, ვინ შეუყვარდა, აგვისტოს რომელ რიცხვამდე ვრჩებოდით სოფელში და ჭიჭიკოს ვერცხლის სასტვენმაც ჩასტვინა.

შესვენებაზე გოლის გარეშე გავემართეს. მეორე ტაიმში დაძაბულობამ იმატა. ხან ისინი ითხოვდნენ პენალტს, ხან ჩვენ. მატჩი ფრედ, ნოლით-ნოლი დასრულდა. მსაჯმა, კიდევ ორმოცდახუთ წუთს თქვენს ყაყანს რა გაუძლებსო, და თამაში, პირველ გოლამდე განვაგრძეთ. აქ კი ნამდვილად აღარ მახსოვს, რამდენ საათს დავნატროდით იმ პირველ გოლს ერთი, ორი თუ ხუთი საათი. ერთი კი მახსოვს, თამაში მაშინ შიევწყვიტეს, როცა სიბნელეში ძნელი გასარკვევი გახდა ცხვირში ბურთი გვხვდებოდა თუ მეტოქე გუნდელის მუშტები. შეხვედრა მეორე დღის, თორმეტ საათზე დავთქვით. როცა შინ დავბრუნდი, ბებია კარგა ხნის დაძინებული დამხვდა. მეც, ბებია არ გავაღვიძო-მეთსქი და პირდაპირ საწოლში ვდურთე თავი (მოდით ყველამ ჩვენს გულში ჩავიხედოთ და სიმართლე ვთქვათ, როგორ შეუძლია ბებიას მშივიდად ეძინოს, მაშინ, როცა სვილიშვილი გვიან ღამითს შინ არ ეგულება. უბრალოდ, თავს იმძინარებენ, რათა დაგვიანებისათსვის რომ არ დაგვტუქსონ).

ხვალინდელი მატჩის მოლოდინში ძილი არ მომკარებია. თამაშის რამდენიმე ჩემეული ვარიანტი შევიმუშავე.

პირველი: თუ პირველი ტაიმი ფრედ, ნოლით-ნოლი დამთავრდა, მეორე ტაიმში მე და რომანიე ადგილებს გავცვლითს, ანუ, კარში ის ჩადგება.

მეორე: რომ მკითხავენ, რატომ გაცვალეთ ადგილებიო, ვეტყვი, რომ მე აუცილებლად გავიტან გოლს-მეთქი, რადგან როგორც მეკარემ, "ავაზელის" სუსტ წერტილს მივხვდითქო.

— რას, რას მიხვდი, ჩვენც გვითხარიო, — ჩამაცივდებოდნენ.

— რას და "ავაზელს" მარცხენა დაბალი კუთხე უჭირს და გოლს სწორედ მარცხენა დაბალ კუთხეში გავიტან-თქო.

— ეჰ, მოიგონა ახლა ამანაც მარცხენითობის მისეული თეორია რაღა, - დამცინა რომანიმ.

— თუ ვერ გავიტან, ნახავთ. მერე ხომ კარგი იქნება ყვირილს რომ მორთავს:

- არის, არის, ყოჩაღ ბებიას ბიჭო, ყოჩაღ! ურაა! ვაშიაა! მოვიგეთს, მოვიგეთ!...

არ ვიცი კიდევ რამდენ ხანს მოვიწონებდი თავს ჩემი "ოქროს გოლით", ბებიას რომ არ გავეღვიძებინე.

— რა იყო ბებია, რამე ხომ არ გტკივაო, — მკითსხა და ლამფის ფითსილს აუწია.

— ა?.. ხო, გოლი... რომანიე...

— კაი, ბებია დაწყნარდი და დეიძინე, — მითხრა და შეშინებულის შიემილოცა:

"ესაო, მესაო, მშივიდი ძილი მზესაო,
ეშმაკუნა ჭი-ჭინკებო, გადიკარგეთ
ბნელსაო.
ძილი უნდა ჩემს ბაღანას.
ნუ აშინებთ ბევრსაო"..

*

დილით, ბებია ბაგის ღია კართან იდგა.

— ბებო, კაკალო სად არის?! — დავიძახე აივნიდან და კიბეზე დავეშვი.

— კაკალო წუხელის შინ არ დაბრუნებულა, ბორკილს უხვევია, ძაღლებს აუფრთხებოდა, ხევში იქნება სადმე, — მითხრა ბებიამ და ბაგის კარი გამოხურა.

— არა, რას ამბობ?! აქვე იქნება, ეზოს ბოლოში, აი ნახავ! — ყანისკენ ყვირილით დავეშვი.

— კაკალო! ჰეეი, კა-კა-ლოო! — რამდენჯერმე შემოვურბინე ყანას.

უცებ, ხევიდან ძაღლების გაბმული ყეფის ხმა მომესმა. მეც, ხმას დავედევნე და ხევში ძაღლების ხროვას წავადექი.

— რა გინდათ, მანდ?! თქვენ ხომ? უხ, თქვენი! — ავუქსიე ძაღლებს და ქვები დავუშინე. დამფრთხალი ძაღლები ღრენით გასცილდნენ ხევს.

— კაკალო! ეს რა მოგსვლია, მანდ რა გინდოდა! — ხევში მოწყვეტით დავეშვი და კაკალოს თავზე წავადექი, — კაკალო, ადექი, მიდი ადექი და შინ წავიდეთს, ხო... ადექი, გეხვეწები, ადექი... ა დ ე ქ ი ... ა დ ე ქ ი . . .

კაკალო ქვებზე უძრავად იწვა. ერთადერთი, რაც მის ცივ სხეულს იმედნეულ წინწკლად კიდევ აჩნდა, ეს ყურთან მომქრალად მფეთქავი ძარღვი იყო მხოლოდ.

— კაკალო, ადექი, ადექი და შინ წავიდეთ, ხო, — ჩურჩულით ვუთხარი და თვალის უპე ფრთხილად ავუწიე. კაკალოს ღია თვალიდან თბილი ცრემლი გადმოგორდა და მარჯვენა ხელისგულზე დამეცა.

— პეე-ე, რატომო, — მითხრა კაკალომ მინავლული ხმით და ყვრიმალზე ძარღვის ფეთქვა იეწყდა...

*

ჭიშიკარსან ბიჭები დამხვდნენ. რომ დამინახეს, ჩემსკენ გამოქანდნენ:

— ეე, ბიჭო, სად ხარ, დაგავიწყდა თორმეტზე სად უნდა ვიყოთ!?

— სად?

— როგორ, აღარ გახსოვს ფეხბურთიი...

— ხოო, ფეხბურთი...

— მერე?

— თავი გამანებეთს, გაიგეთ?!. არსადაც არ მოვდივარ!

— აბა კარში?

— კარში რომანიე ჩააყენეთ, იგი ხომ ჩემზე ძლიერი მეკარეა!

— კაი ერთი?! რას ყოყოჩობ თსუ იცი, ხომ არ გინდა ერთი კარგად მიგჯნიყო, — მისხრა რომანიამ და საყელოში მწვდა.

— ხელი გამიშვი თორემ, ნახავ რაც მოგივა! — ვიღრიალე მე და კისერში ვეტაკე.

სუკი მაიინ ხვენს იორის ვინმე მასსან ხხუბს «არა მარტო მაიინ» გაბედავდა, მე ვიყავი. დიახ, მე! მიუხედავად იმისა, რომ იგი ჩხემზე ორი წლით დიდი იყო, სიმაღლეში ორი მტკაველით მისწრებდა და ძალაც ჩემზე ბევრად მეტი ჰქონდა. უნდა მეჩხუბა. თუნდაც ჩემს წინ ასი რომანიე მდგარიყო - მაინც არ შევუშინდებოდი, რადგან ჯავრი უნდა მეყარა, რადგან ჩემგან გაქნეული თუ ჩემთვის მოხვედრილი (ეს უკვე სულ ერთი იყო!) მჯიღითს, საბოლოოდ გამომეგლოვა სოფლის მაწანწალა ძაღლებისა თუ სვავ-ყორნების საჯიჯგნად ხევში ღელის პირას დატოვებული ჩემი კაკალო. უნდა მეცემა, ან მას ვეცემე, სულაც ერთიმეორე გაგველახა, რადგან მუჭში შენახული კაკალოს ცრემლის წინაშიე ჩვენ-ჩვენი წილი დანაშაულისა უნდა მიგვეზღო...

და მაინც, მიუხედავად ყველაფრისა, ჩვენი ჩხუბი არ შედგა, რადგან ჩემმა მომუჭულმა მჯიღმა ბიჭები ისე დააფრთხო და ისე სწრაფად გამცილდნენ გვერდიდან, თითქოს მომუჭულ მჯიღში კაკალოს ერთი წვეთი ცრემლის ნაცვლად, ბომბი მჭეროდეს. აკი, (როცა სოფელი იმავე დღეს, პირველ სექტემბრამდე თვენახევრით ადრე დავტოვე და ქალაქში წავედი), იძახდნენ კიდეც,

— იმ დღით ბებიას ბიჭს ხევში ბომბი უპოვნიაო...

— აბა, აბა კაცო...

— კიდევ კარგი, ყველანი, ერთიანად არ აგვაფეთქაო...

მათი რა გითხრას და, კაკალოს იმ ერთმა წვეთმა ცრემლმა, როგორც ბებია იტყოდა, კაკალი გული მომწყვიტა...

ბონდო მაცაბერიძე

მზის ზღაპარი

(ზღაპრები)

მხატვარი კოტე მაცაბერიძე

მაკეტი და დიზაინი
ბონდო მაცაბერიძის

კომპიუტერული უზრუნველყოფა
ლევან ბეგლარიშვილის

გამომცემლობა - ბაკმი
საქართველო, თბილისი 2006 წ.

E-mail bakmipublishing@posta.ge